

တၢ်ပုဂံ

1885

၇. ၂၀၀

Миллер 23, 236.
(1886)

203, 211, 212
1921 г. 22/1

304/10, N 24.

Г. Миллер 203, 211, 212
N 19, 182.

1879

Г. Миллер "английский"
(2-й вариант) 213)
1885 г. (L. Miller)

~~1886 г.~~

[Signature]

" 1885 - N 15.
" 1886 - N 159.
" 1886 - N 3, 23, 26.

~~1885 - N 15.
1886 г. 30, 31, 32, 36, 38
39, 40, 41, 42, 43,~~

Миллер (203, 211, 212)
N 2, 1886 г., 1888 N 13.
Г. Миллер, 1888 N 13.
N 4, 22, 106

Миллер (2-й вариант) 203, 211, 212
N 3, 19)

Миллер (2-й вариант) 203, 211, 212
N 7 (1886)

Миллер N 4
N 41

~~Миллер N 59~~

Миллер 236

1885-86 Երևան - Լիպնիցի. Ն. Բրու

1. Լեզիկոս ճոճոճ ռիվիտո 183.

16mm 1886 Երև. "այստեղ" - 159.
N 3.

2. Երև. մեծ. Լիպնիցի 155

3. Նճրակ ճոճոճ 110

4. Նիտի ճոճոճ Լիպնիցի քաղ. 59

5. Նճրակ ճոճոճ (ճոճոճ) 76
պիտակ Լիպնիցի

6. Նիտի ճոճոճ (ճոճոճ) 155
551 և 552 թվերով հարկադրված են Երևանի ճոճոճ

7. Նիտի ճոճոճ (ճոճոճ) 200
Երև. (N 19)

8. Նիտի ճոճոճ (ճոճոճ) 19

9. Նիտի ճոճոճ (ճոճոճ) N 1. 23. 4.

Մուտքի թվեր

Կարգով

1. 1885 թ. / թվեր 141 73-ով
 շտաբ 99 ունի. 1-ը 19 թվեր
 թվեր. 410. Յ. Նախ (կր. թվեր)
2. 1886 թ. N-1-50.
 N1-33 (ՆՆ-ի կր. թվեր)
 Յ. Նախ, Ն. Ն. 24-30
 ՆՆ-ի: կր. թվեր. շտաբ 2-ի թվեր
 Յ. Նախ (24-38),
 N 39-40-ի 1/3. Յ. Նախ
 կր. թվեր.
3. 1887. ~~Կ~~ թվեր ընդհանուր
 գրքեր, ~~Կ~~ N 1-8-21
 կր. Յ. Նախ. N 9-10 ՆՆ-ի:
 Յ. Նախ. (9-13-14) շտաբ 3-ի թվեր
 N 13-14-21 (Յ. Նախ)
4. 1888 թ. 40. Յ. Նախ թվեր 1-50
 (N-15-20)
5. 1889 թ. կր. Յ. Նախ թվեր N-1-50
6. 1890 թ. Յ. Նախ թվեր. կր. Յ. Նախ
 N 1-15-21

Յ. Նախ. 3-ի թվեր

თეატრი

ყოველკვირეული

სალიტერატურულ და სამხატვრო გაზეთი

1885

წელიწადი პირველი

5826

«თეატრის» ფასი უფლოთ 2 მან.
, > ყლით 3 მან.



თბილისი
მელიქიშვილის სტამბა
1885



ე

ს

ც

რ



საქოველ კვირბა ლიტერატურული და მსატერობითი ვახეთი.

14 ივლის

გამოცემა

№ 1

პირამოზით

1885 წელს

ფასი „თეატრი“-სა

წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილათ შემოკანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათანვე სამი (3) მანეთი, მისში ერთი (1) მანეთი და მარიაშობის თვეშიაც ერთი (1) მანეთი. ცალკე სომეხი „თეატრი“-სა ღირს სამი (3) შაურა. ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სურაქონზე 5 კაპ, პირველზე 10 კაპ, მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

სეჟის მოწერა მაილეა:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრი“-ს რედაქციაში. ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. შვალაბლის შვიდთან. თელავში ი. როსტომაშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлиси, Книжный магазин Григория Чаркванни. კორესპონდენციეი და საზოგადოთ ნაწერები პირდაპირ „თეატრის“-ს რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ავკორს ვერ დაუბრუნებს.

„თეატრი“-ს გამოცემა დაიწყობა სექტემბრიდამ, პირვ. ნომერი ისეიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღ. იქვე მიიღებ ხელ. მოწ.

ჩუხსთაველის სურათზე.



ულ-მნათო, მაღლი შენს განჩენს!
დიდება ერსა შენს მშობელს!
და ძეგლად სამარადისოდ
ნეტარ.ხსენება ამ სოფელს!..

სულ-მნათო! ჩვენცა გვასწავე
ეგ საიდუმლოა ქვერისა,
რომ ავეის ულდეს წადილი
მგოსანი ვიქმნე ერისა;

შენ ნიშნად უკედავებისა
ერს მოელენიხარ განგებით,
ეთ ცისარტყელა წარღენისა—
უცნაურისა ჰანგებით.

რომ ჩემის მღერით აგზნოლი
ჩაყოფი ტარიელობდეს:
ქაჯთა ებრძოდეს ლომ-კაცი!..
ნესტანისათვის ხელობდეს!..

მაშინ, ეთ ჩვენსა მნათობელს,
სახელი აღგმატება
და შენი სახე ივერთა
გულს ძეგლად დაეხატება!..

აკაკი.



ՍԻ ԺԱՅԻՆՅՈՒՆ ԳՐԱԿԱՆՆԵՐԻՆ,
ԱՐԻՆԵՆ ԳՐԱԿԱՆՆԵՐԻՆ:

Գրող Գրիգոր

Գրող Գրիգոր

თბილისი, ივლისის 7-ს.

უნაპალია ჩვენი გამოსულა სალიტერატურო ასპარეზსზედ, მეტე ამ დროს, რომელიც სული მოკვიდრეთ, ბევრს დიმილს მოჭკვრის. ჰმ, თეატრი, სალიტერატურო და სამხატვრო გასეთი! ჯერ ნამდვილს თეატრს რა მნიშვნელობა აქვს ჩვენში, რომ ასლა ამ წოდების გასეთი რა უნდა იყოს?...

სუ ასქარდებით, ბატონებო. ჯერ მანც და მანც სიცილი აღრე იქნება, Rira bien, qui rira le dernier, ფრანციული ანდასა გასლაგეთ, რომელიც ნიშნავს: სიცილი იმას უნდება, რომელიც ყველასე ბოლოს იცინისო.

ქართული ურემივით ტლანქმა, უშნო, ულასათო და მასავით დოდინა „ივერიის“ რედქციამაც კი შეიგნო და რამდენჯერმე საქვეყნოდ აღვიარა, რომ თეატრს სასოგადოდ ხალხთა განათლებამი, ე. ი. კონებით განვითარებაში, სხეობის გავრცელებაში და სს. მეტის მეტად სახატო აღაგი უჭირავსო და, ნამეტნავად ჩვენში თეატრის მნიშვნელობა სკოლის და, ასე გასინჯეთ! — ბანკის მნიშვნელობასაც კი აღეძტებაო! Horreur!

მაშ რათ მიდის ჩვენი თეატრის საქმე ასე უმსგავსად? რათ მიდის ჩვენი თეატრი, ეს ერთად ერთი სახალხო ტრიბუნა, საიდანაც ჩვენ სწავობას უნდა ვსწავლობდეთ, ეს ერთად ერთი ტამარი სადაც უნდა ღვიოდეს და გამოიფრდეს წმიდა ლამპარი სამობლო ენისა, რისთვის მიდის, ვიპერებთ, ასე ცუდათ?

მისთვის, ბატონებო, რომ მისი აღსრდა მიუგდეს რამდენიმე ასალგასდას, რომელთაც ამ ტამარს ამსვერზლეს ის, რაც საუკეთესო მოე-

ზაება კაცს-- თავიანთი ნიჭი და მეცადინეობა, და სსვა ყველა საშუალებებს მოაკლეს. ჩვენმა, ესრედ წოდებულმა, მოწინავე დასმა სურვი შეაქცია თეატრს, რადგან მისგან ზირად სარგებლობას არაფერს გამოელოდა. თუ ამათ მადალი ფრასების რასარუსს ეურს უგდებთ, ამთი ფარისეველური გულში ბარტყენი თქვენ ნამდვილად მიგანხიათ, ძრეელ მოტყუებული ბრძნებულხნართ. ეს ვაჟ-ბატონები მეტის მეტად, როგორც რუსულად ამბობენ, ცენტ на чух და ისეთს აღაგას ხელს არ ჩატყოყენ, საიდანაც გასალოკი არაფერი ამოჭეყებთ.

გიჟებივით ამოუჩემებიათ ბანკი (სრცხვენოდეთ მანცა) და „წერა-კითხვის გამავრცელებელი სასოგადოება“; თეატრი კი, რომლის მადალ-მნიშვნელობას თითონვე აღვიარებენ, უგანონო შეილივით სადაც კუნსტელში მიუგდიათ. რაც არის ბანკი ჩვენის ქვეყნისათვის, ეს დღეს ყველამ შეიგნო, იმათ გარდა ვისი ჯიბისათვისაც ეს შეგნება სასარგებლო არ არის. ეს რადაც წერა-კითხვის გამავრცელებელი სასოგადოება, ამისთვის სომ ქვეყანას ლამის ზირსედ ტყავი გადაძრონ. მანცა და მანც რა არის ეს გასვიადრული სასოგადოება, რომ ზირსედ ბადე აგსადოთ ჭ დეკვირუებით შევსდოთ? ეს გასლაგეთ კანტონა, ასე აგენტურა, რომელიც ქართულს ზედგოგიურს უნიჭო კომპილაციებს ავრცელებს. . .

მაშასადამე, უმთავრესი მისანი სალიტერატურო ასპარეზსზედ ჩვენი გამოსვლისა იქნება თეატრის აღორძინებისა და მისი წარმტყებისთვის მეცადინეობა.

მაგრამ ჩვენის ასპარეზის რაოდენობას ამ ვაწრო ფარულით არ შემოეკლება სასი. სიტუვა „თეატრს“ ჩვენ მომეტყუელს მნიშვნელობას ვამლეფთ და თეატრად მიგვანხიან

მოელი ქვეყანა, რომლის სცენასედაც ეველს
 ჩვენგანს რაიმე ალაგი უჭირავს. ამ აქტიორებს
 ჯერ ნამდვილი რეცენსენტის კალაში არ შეჭ-
 ხებია, რომ ეველს შესაფერი როლი და ად-
 გილი დაენიშნოს. ბევრი ნიჭი დაჩაგრულია
 და სტატისტის ალაგი უჭირავს, ნამდვილს
 უნიჭო სტატისტს კი წამოუსხამს ჰლაში და
 გამლეტის და ოტელოს როლებსა თამაშობს.
 Sapienti sat!

დასასრულ, უნდა მივაქციოთ მკითხველის
 ყურადღება ერთს გარემოებას. ჩვენ უარ-
 ვვაფიქრობთ იმ მხარისა და ქამანდვი-
 სათვის, რომლებსაც სელში იღებენ სასო-
 ვადოდ ეველს სალიტერატურო ორგანოები
 სკლის მომწვერლებს მისაზიდავად, საუვირის ჩა-

ბერვს და ბუკის ცემა, როგორც გამოსტებიან
 სოლმე პირველად სცენასედ ჩვენ ლიტერატუ-
 რულ შარლატნობად მიგვანხია და ამიტომ არც
 არშინიანი აქტივები გაუკარით კედლებს, არც
 განსეთების პირველი გვერდები დაფიქირავეთ რე-
 კლამების დასაბეჭდად. გარდა ამისა, შემოსე-
 ნებულის მისნის მისაღწევად მალეობულია პი-
 რველი ნომერი საუკეთესო გამოსცენ და მეტრე
 კი რაც მოჭხედებათ. ჩვენის აზრით თან და თან
 წინ სვლა სჯობია უკან-უკან სევასა. ბალი რომ
 დაბლა ტოტებში მწარე ივოს და წვერში ტე-
 ბილ, ის ემჯი ბინებოდა. ამიტომაც ეს განლაგი
 პირველი ნომერი და არა-საჭაშნიკო, ანუ
 სანბიუშო, რომელშიაც საუკეთესო მასალას
 მოაქცევენ სოლმე.

კ უ რ თ ს ე ვ ა

(„ოუცრს“).

თუ სანირადოთ დაბადებულსარ,
 კერძობისა მსოლოდ მქებელი,
 იუავ უსუსურ!.. იუავ სან-მოკლე!
 და ამავე თავით მარად დღე-ბნელი!..

მაგრამ თუ ჩვენთვის ერთგულ მუშაკად
 ხარ, ნორხო, წრუელად მოვლინებული
 იუავ კურთხეულ! იუავ საუვარულ!
 და ეველასაგან ერთხმად ქებული.

**

**

წრუელად ისარდე! შრომით იღვაწე,
 რომ მითი კაცად გამოყოლადღე
 ზ სწორ-მხედველი, ჩვენსა სიცუდეს
 დანიშნულებად კაცთა არ ჰხადღე.

საუ იუინცხ, რომ იბათიროსად
 აქვარადოთ იქნ თვით მსალოდ
 ეს უგზავს ხებამ ზოგადი მსალოდ
 იხიბით თქვენი ზოგადი მსალოდ

5
 ყველაზე სწორად მისაჩვენებელი
 სწორი კვირისთ ამოღობ
 აქვამ პირა 50 ყველა მსალოდ
 1928 კვირისთი 1 ნაშრომი

კვირისთი
 კალიგა. 7.06.1928.1017
 1928

კლერვილი და კრუდონი.

(ფრანციულია)

ლაურანსეტის გამოჩენილი დრამატული მწერლი კლერვილი, რომელიც გადაიცვალა 1879 წ., სყოველთაოდ აღვიარებდა, რომ მას არ ჰქვს არავითარი პოლიტიკური რწმუნება. ერთსელ 1849 წ. როცა პარიზის დეპუტატი რეკვიამი, „გოდევილის თეატრის“ დირექტორმა სთხოვა მას, რომ დაეწერა პიესა, არისტოფანული პიესების მსგავსი; პიესა უნდა ყოფილიყო წინააღმდეგ თეატრის რეკლამის იდეებისა. კლერვილმა, ელენორმა დეკოლბელის (ჟულ კორდოე) დახმარებით დაწერა შესატყევი სატირიული Revue, რომელსაც შემდეგ დად სენს თამაშობდნენ. ამ პიესას სთაურათ ჰქონდა ცნობილი პრუდონის პარადოქსი. ამ ასირებულ პიესაში მშენიერი აქტრისა ქ. ოკტავია ასრულებდა ევას როლს მიწიერ სამოთხეში; ევას ეარმეებოდა გველი სატნა. აქტიორი, რომელიც ამ როლს თამაშობდა, უნდა გეკეთებინა გამოჩენილი სოციალისტის პრუდონის გრამი.

ეველიური კარგით პიდიოდა, მაგრამ დამბრკოლებული ეს იყო რომ 1842 წ. (როგორც ენლა) სიფრანკეთში იყო დადებული კანონი, რომ ვისაც გი ჰსურდა წარმოეკლეს სტენსე რომელიმე ცოცხალი პირი, ამ უკანასკნელს უეჭველად წერილით უნდა ნებადართვა და მსოფლიო მამის შეიძლება მისი გამოეყანა სტენსე. და რადგან პრუდონი უნდოდათ გამოეყანათ პარიულებს წინ გველი სატნის როლში, უეჭველად საჭირო იყო ნებადართვა თვით პრუდონისაგანვე.

ერთ მშენიერ დილას კლერვილმა მოიკრიფა ძალღონე და თავის განუშორებელ თანამოგონაურით, წვიმას ქოლგით, გასწია გამოჩენილ სოციალისტთან ნებადართვისთვის. რაღა თქმა უნდა, ერთმანეთის ნასვის დროს ბეკრი თავისიანი და მასთან მასვილიანი ლაპარაკი ექნებოდათ.

— თქვენ ვინა ბრძანდებით? ჰკითხა პრუდონმა ჩვეულებრივის სასტიკობით, თუმცა პრუდონი გულისთ ძალაინ კეთილი კაცი იყო.

— მე?... მე დრამატული მწერლი ვარ.
— მე რე რა გინდათ?

— მე მსურს გოსოვით გაშიწიოთ ერთი სამსახური.
— რაში მდგომარეობს?

— აი საქმე რა არის: მე შემიკვივოთ ერთი პიესა აწმეოცნოვრებდამ, სატირიული ტარსი. ამ უამდ ეველას თქვენკენ მოუშერიოთ თვალი და გონება, ეველანი თქვენსე ლაპარაკობენ და ამიტომ მე გამომეყენსართ თქვენ ჩემ პიესაში.

— რა როლში უნდა გამამსატო?
— ეშმაკის როლში.

— რას მიედმოეებით? როგორ, განა თვრამეტ სეუკუნის შემდეგ კიდეკ მოიპოვებინა იმისთანა პირნი, რომელთაც სწამთ ეშმაკი? ეშმაკის ჩვენება შეიძლება დაუსჯელად ერთ ერთ პარიუის სტენსე?! და ჩვენ კიდეკ იმდენათ ვართ თვლებ ასეულები, რომ გვწამს პრუდონის!.. კარგი, ესთქვათ თქვენის აზრით მე მივეკვარება თქვენგან გამოეყანილ ეშმაკს. მაგრამ ერთი ეს მითხართ, რა სისულელეს მალაპარაკებთ?..

— აი ინებეთ და თქვენ თითონვე განსაკეთო. აი სიტყვებით კლერვილმა ამოიღო ვიბიდან სელთ-ნაწერი პიესა და გადასცა წოდებულ სატანას. წარღვინთა წინა გველის როლა, რომელიც მას ძალაუნებურად გადაჰკიდავს ორმა გოდევილების მწერლებმა, ცოტა არ იყოს შეკარულიანა იგი. კითხვის დროს თანდათან უფრო მოსწონდა და ბოლოს საჩხარიც დაიწყო.

გათავა თუ არა კითხვა, მამანათვე მისცა მან ნებადართვა. კლერვილმა დაიწყო მადლობის გადასდა.

— ასლა ნება მიბოძეთ, სთქვა კლერვილმა, ბილეთი მოგართვათ პირველ წარმოდგენისა.

— არ იქნება ურიგო, უპასუხა ჰემმდრომმა: მაგრამ იცით რა, ლოკას ან კრესლოს ნუ მომცემთ. საჭირო არ არის მათურებლებმა ორნაირად მნასონ, ერთი სტენსე და მეორე ზალაში. სადმე მოშორებით დასვით, ზეკით ან ჰეკით.

ის დასვეს ბენუარში №9, სადაც ვერაინ ვერ დაინსავდა. ის ივდა თავის ორ ასლო მეგობრებ შუა, უფურება როგორ გაიარა იმ ორგინალურმა პიესამ, დაწერილი მის წინააღმდეგ და თავის სიცილით და მოწონებით უფრო წარუმატა სელი პიესის წარმატებას.

*
* *

სული სწუსს და სული შუოთავს, დაკარგვია მას სადგური...
რადღაც ძალი აძლეფვარებს, სტანჯავს, სწეწავს უცნაური.
გულიც სულსა ბანსა აძლეფს დაკოდილი, დადაგული, —
დაუკარგავს იმას შვება, სეციური სიუვარული.
სიუვარული! სად წახვედი? რად მომიკად მე გლან-გული?
მწუთ გამონდი, სადაცა ხარ, მოვედ! გული მე ბედ-კრული
კვლავ მოგელი მოწიწებით, რწმენას აწვევს კვლავ იმედი,
კვლავ გრძნობები გააშმაკე, განაბრწეინე ჩემი ბუდი.
მოძეც ძალი და შეძლება, რომ მოვიართო ჩემებრ ჩანგი,
შამოგვენესო სანუგემოდ ძეველებური, ტებილი ჭანგი.
ცრემლი ვღვარო, მოვისმინო, უცნაური სიმთა ქღერა,
მას დავსტირო გულ ამოსკვნით, დავამღერო ბედის წერა.
გულს ჩამდგარა შოლოდ ვნება, იდეალი არ იტაცებს, —
იგი დარდით მოცულია, თრთის, ყინდება და ცანცანებს.
ვეღარ ივრებს ჯან-ღონესა ვნებებისა ნატამალი:
არ ჰხარებს მას წარსული, არ ახარებს მომავალი.
მე სიცოცხლე შსამსა მასმევს, იტანჯება გლან სენებით,
თვით ოცნებაც არ ტუუვდება დაკარგული იმედებით.

მ. ალ. სუსნიკელი.

წაჩილი ქველს მემოზართან.

სალაპი ძვირუასს მეგობარს. რასაკლებია საუკუნე-
ნეთა ბრუნვაში იმ ხანს, რაც მე და შენ ერთმანეთს
დავშირდით, არაუერი ალაგი არ უჭირავს, მაგრამ
მინც ჩვენმა დღედუნა მტკვარმა ბერი ათასი კაკა წყა-
ლი ჩაატარა ქვეითენ და მეც ეს მოკლე ხანი. ჩემს-
სულ მოკლე-ზისაგამო, მთელ საუკუნეთ მჭევნა. ჩვე-
ნი დაშორება, მგონია ორივე მხარესთვის არ იყო
სანატრელი და სახიამოვნო.

მეგობარც არის და მეგობარიც. უმრავლესობა
ფუტურის მართვესავით გხვეუა და ცდილობს თვისი
ერთგული მეგობრობა დაგიმტკიცოს, მანამ შენგან

რაიმე სარგებლობას გამოეღოს. ამისთანა მეგობ-
რებზედა სუქვა ერთმა ევროპელმა გამოჩენილმა
კაცმა: „ღმერთო, მეგობრებსაგან დამიხსენ და მტრებს
მე მოუთრადებე!“

არის მეოჩე ჯუჯა მეგობრებისა, თუმცა ძრიელ
იშვიათია. ყოველთვის ამისთანა მეგობრის შეხვედ-
რა ჩხუბით იწყობა და განმორება ჩხუბით თავდება.
ამ სთანა მეგობარი არაფერს არ გამოლავს და ყვე-
ლაფერს პირში გაძრახავს, — გიძრახავს მისთვის, რომ
შენი ბედნიერება და სიეთე უნდა. ამას მოკმედებას,
რომ შორეულმა კაცმა შეჰხედოს, იუქებებს: ეს

სწორეთ ამისი დაუძინებელი მტერი უნდა იყოსო. მაგრამ ღმერთმა მრავალა მოაკცეს ამისთანა მეგობრები, ჩემო კეთილო!

თავის ქება, თავის ტახაო, იტყვიან და მე სწორეთ ამისთანა მეგობარი ვიყავი შერთვის. სწორეთ მაშინ, როდესაც ჩენი ახალი გაცნობა მტკიცე მეგობრობად უნდა გარდაქცეულიყო, სადაველმა გველმა, ამ დაშამადვან მეგობრობის, სიყვარულის და ძმობის დაუძინებელი მტერმა გადასხა ზედ თავისი შხამი და მოგვიწამლა კეთილი განწყობალება.

მართა მე რომ გავხვდარე კაცთა შუენის, ბინძური ანგარამბის და წვენიანი მოსაზრების სხენებლი, ამაზედ ღაპარაკი არც კი ეღიროდა — და ნამეტნავად ჩემის მხრით ეს ჩივილი და სამღუავე უადვილო და სამარცხენოც იქნებოდა.

ნამეტნავად ჩემთვის მტეი აუტანელი შეიქნა ამდენი ხნის განშორება. როდესაც საყვარელს მეგობარ ვაშორებენ მთები, ზღვები და რამდენიმე ათასი ვერსის მანძილი, მაშინ ძრიელ ადვილია შეურვიდგე შენს მდგომარეობას, მაგრამ წარმოდგენაც კი ძნელია იმ აუტანელი მდგომარეობისა, როდესაც ერთ ცის ქვეშე და ერთ მიწაზედ სცხოვრობ მასთან, ცინც გულით გიყვარს და მთელი თევებით და წლებით ეუნძრახები.

* * *

კმარა ამაზედ ღაპარაკი. ეხლა ჩვენებური ამბები მოიხსენეთ. თუ სრული სიჩუმე, წყნარი შექცევა და ნადიმი, მერე ტყბილი ძილი, ისე ნადიმი, რომელზედაც „შენი ჭირიმე“ და „გენაცვალეს“ მტეი არაფერი ისმის, სანატრელს მდგომარეობას შეადგენს, უთუოდ რომ ქვეყნიერი სამოთხე დაარსებულა ეხლა ჩვენში. მინც თურმე წინადაც აქ ყოფილა სამოთხე და ეს გარემოება სრულიად საკმაოდ მიჩნიათ ჩვენ ნაცარქექიებს, რომ ქული გვერდზედ მოიქციონ, დონჯი შემოიყარონ და გამკლელ-გამომკლელს აგრძნობინონ: ნახე ბიჭი მე ვინა ვარ! არა ვგეყართ ტუტრუცებს. მუდმივი აყალ-მყალი, ერთმანეთში განხეთქილება და აზრების შეჯახება, ტყის ნადირების ხელობა და არა კაცისა.

იმისთანა დარბაისული და ქვეყანაზედ ბრძნად ცნობილი კაციც კი, როგორც სპენსერია, ისე მკაცრად ეწევა პოლემიკას თავისი აზრის დასაცევლად, რომ ჩვენს გამოჩენილს პუბლიცისტს, (?) როგორც ზაქარია ჭიჭინაძე „განმარტებს“, ანტონ ფურცელაძეს, ანუ ჩენი პეტაგოგის დალი ლამას იაკობ სვიმონის ძეს გოგებ-

შეილს მოგაგონებს. პარიკელი ჟურნალისტები ხომ ისე მკაცრად ომობენ, რომ ღმერთმა შეარცხენოს ამ. თ. თან გოარგი საკაძის და „პატარა კახი“ ერეკლეს ხმალი. ერთის სიტყვით ამ ხალხს არც სიარცხელი აქეთ და არც ნამუსი.

ლეთისწინაშე, ორიოდღე შოთის და ამბოხის მოყვარე ჩენც გამოგვეია, მაგრამ თავადამ მ. ლეე მოვიშორეთ და ჩენთვის მკუდროთა ეცხოვრობთ. ეს ვაჟ ბატონი კაი მოქიდავესავით მუდამ დამკლავებულები იღგენ და გვეძახოდნენ: მ. რ. ი. კ. ურს ძალა ესცადოთ და აზრები ერთმანეთს შეეჯახოთ. ახრეზულია შენმა მემ! ამ. თ. ის ანდაზა კი არ გაუგონიათ: რაც არ ექნას მამაშენსაო და სხ. თუ ვერე ზურგე გქავება, აი გლდანელთან გადი, ან ერთი ნოდარა ბიჭი მკეს შინა ჩამოვიყვან და, ღმერთმანი, მკონია, რომ სამჯერ ზედი-ზედ ზურგი გაკეცინოს. თუ არა და ტენით ბრძოლა, რომელი პატიოსანი კაცს საქციელია? იმს რა სჯობია, თქვენი ჭირმე, ალავერდი! — იხშიო! — მაირთვი გენაცვალე! — გიხლები, ჭირი მოგქამე! დაისხი — დაგისხას, შეუთაღე — შეითაღოს. ჟურნალ-გაზეთები განა ჩვენ კი არ გვაქს, მაგრამ სულის შესაშფოთებულს და ტენის ასანძრეც კი არაფერსა ებეჭდაეთ. იმათი გამოსვლა არც არავის აწყენინებს, არც არავის შეაშფოთებს.

იმისთანას არაფერს დაესწერთ, რომ ვისიმე საწყენი იყოს: ჩენც გვეწეა ამ დღეებში ჩენი გამოჩენილი, ჩენი დიდება და სიმდიდრე, დიდებული „დროცხის“ კორექტორის მესამე თანაშემწე. ჩენმა „ინტელიგენციამ“ (?) წყლის პირზედ, მშენიერი კაცლების ქვეშ საღლი გაუპართა. კალმხა ჩქჩქით ეყარა, მთელ ასოებად ამოღებულს არტალს ოწნივარი ასდი, ოდა და ყნოსეს ატკობდა, კახური ღვინო წისქელის რუსავით მიდიოდა. საღილზედ მრავალი გრძნობით საესე სიტყვა წარმოითქვა. დიდებულ სტუმარს გრძნობა აუღელდა და ტირილი ეყარა „შეკავა“ და სხ. აი ამისთანა სტატები რამდენიც გინდა მოიტანეთ. ეწმაკს ეწყინება და ღმერთს იამება...

ჟურნალ-გაზეთების გარდა ჩენ ბლომათა გვაქს სხვა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულება, და როგორც წესად მიღებულია, მათი გამგებელნი ვადით გეყავს ამორჩეული. მაგრამ ამაზედ სათნოებით, ღმობიერებით და სიტკობებით საესეს ვერას ჰნახე ქვეყანაზედ, როგორც ჩენი საზოგადო კრებებია. უყურებ ამოდენა თვე ჩაგინდრულს, უყურებ დაშვებულს ხალხთა ხრო-

ვას, გული სიხარულით გიტოკავს, თვალები ცრემლით გვესება და განჩენელს მადლობას სწირავ, რომ ამდენი სიღარბისლე ჩვენზედ დაუბერტყია. სეკრეტარი წლიურ ანგარიშს წაიკითხავს, მაშინვე ყველანი ფეხზედ აღდგებით, დაბლა თავს დაუყრავთ და მადლობას ეუძღვებით.

მერე მიდგება რიგი გამგებელთა ამოჩქევანზედ. მაშინაც ერთიანად წამოეყვივით და ათასი დაღებული ხახა ერთ ხმად ამოიძახებს: „უყენქოდ!.. შერცხენილი იყოს, ვინც არ დაიძახოს!“... და სხ. წამოდგება, ვისაც ეს შეეხება, თავს გეიკრავს, გვეხეწება, და გვემუღარება გამანთავისუფლეთ ამ მიძმე მოვალეობიდან, აღარ შემოიძლიან სამსახურიო, მაგრამ ჩვენ ჩვენსას არ ეშლით და ბოლოს ისიც თანხმობას გამოაცხადებს.

ძველი ნამსახურების ნამოქმედარის კრიტიკულად შეხედდა და ახალი კანდიტატების გამოყენა ჩვენში დიდი სირცხვილია. ძველს მხოლოდ მაშინ გამოეცვლით, თუ იმაზედ უფარგასი ვინმე ეიპოვეთ. მაგალითებრ, შეიძლება დ... ჩამოვებძანოთ და იმის ალაგას სხვა ვინმე შევასკუპოთ, მაგრამ იმიტომ კი არა რომ უკანასკნელი პირველს ტეინის

ძალით და საქმის მუყაითობითა სჯობდეს, იმიტომ რომ უკანასკნელი „კი ბიკია“ დ... რომ ლაპარაკობს, ასე გეგონებათ ჩაქუჩით თავში გვირახუნებ-სო; ამ უკანასკნელსაც ძალიან უყვარს ლაპარაკი, მაგრამ თავისთვის მერცხალივითა ჭიკჭიკობს, თითონაც არ გაეგება რასა. ვაი იმის ტყავს, თუ ვინმე საზოგადო კრებაში ოპოზიცია გამოაცხადა! — სუ ზუგზედ მტყვრს ავაღენთ.

აი, ბატონო, თუ ორატორობა გნებაეს, ბალში სადილს ემართათ და იქ მობრძანდი. სადილეგის გამართვა ძრიელ მოდაში შემოვიდა. პურადობა მინც ქართველთ წესია. ზოგს მისთვის უმართამთ სადილს, რომ დიდხანა სცოცხლობო, ზოგს მისთვის, რომ ახლად დაიბადეო, ზოგსაც სამოქალაქო ასაკი შეუსრულდა და სხ. აბა იმ სადილებზე უნდა უყურო მოშლილი წისკვილეების რახარუხს აი! სანადიმო ორატორობამ და მწერლობამ ძრიელ ფეხი აიღვა ჩვენში, ნეტავი ჩვენს ყოფას!

დავით სოსლანი.

გ ა მ ო ც ა ნ ა .

მამათ მზე მკავს, დელათ—მთვარე,
 ეარსკეღაღები—წერილ-და-ძმათა;
 „ცა ქულათ არ მიმანია
 დელა-მიწა ქალამნათა.“


არც დიდი ვარ, არც პატარა;
 არც ბატონი და არც მონა;
 გულს მესობა: ხან ისარი,
 ხან სუნელი ვარდის-კონა.

ქვეყნის შეილი, ქვეყნის მოძმე
 ქვეყანაში ყარიბი ვარ;
 მაშინ უფრო მდიდარი ვარ,
 როცა უფრო ღარიბი ვარ!..

ვინც რომ მიყვარს, ის ხომ მიყვარს!
 ისიც მიყვარს, ვინც რომ კი მძულს;
 მწარე ენას ეამსახურებ,
 გაწმენდილს და მარად ტკბილ-გულს.

მხელათ ვინც ვარ? ვინ გგონივართ?
 ერთი ვინმე გიჟი-ცეტი?..
 უკაცრავათ!.. შემცლარი ხართ:
 მე გახლავართ ეს პოეტო.

ბაკვი.



პეტროს კიკელიძე

ცნობები ქართულ თეატრზე.



გეორგიძე რეჟისორის ნაწილის, საქართველოს სამეფო განკარგულებაში გადაწვევით უარა ჰყოლისმალ-სმარსებთან ყოველწინაშია შეგობრული კავშირის დაცვად. დრომ მოუტანა და ქართველებმა იგრძნეს რუსეთთან დახლოებას საქართვება. ეს გრძნობა და მიხედვით ანტი რუსული დრომ. ჟურნალ ვანტანგ მეფის დროსა და მას შემდეგ მთელი რუსია და რუსი ქართველების მიდობა სოღმე რუსეთში, იჭურს სსკა და სსკა სამხედრო და საერთო სასწავლებელში სასწავლებლად.

ამ მოსწავლე უმწველ კაცობის გარდა მოსკოვის და პეტერბურგში ერთად დიდი რიცხვი სცნობდა ქართველთ უმადლეს თავდას შეილება, რომელთა მომეტეული ნაწილი სულ საქართველო-იმერეთის უბედურებასს მკაცრებით იყენებ გარდასწავლიანი იქით.

სამეო იქნება დავასხელთ რომ ალექსანდრე უკუგამევი პეტერბურგში დაიბად 1791 წ.

რუსეთში მყოფი ქართველები იქნენ მკლათის მანუდელობათ მეცადინეობდნენ საქართველოშიაც ისეთი რამ წესები შემოეტანათ. რომ შესაძლებელი ყოფილიყო ახიური სამეფოს წეს-წობილებას მოხობა და მას მკვირთი განაოლებას დ მკვიდრება.

ამ ეპოქას რომ დავაგვირდეთ და გვიცნათ, უმსკლავ ბუერს იმისთან რუსებს შეესაძლებათ ანც საქართველოში სულაბიერებელ შემოღებულ-შემოტანათ უნდა ჩაითვალოს.

ამ დროებაში გაათავეს გეორგიძე და უმართლის ცხოვრება, ანტონ კათალიკოზმა თავის ვრცელი გრამატიკა და მრავალიც სსკა წიგნები. ამგე დროს აღორძინდა სექტამო მწერლობა, ცელ მსრიად საქართველოში მყოფი ლათინთ პეტრები მეცადინეობდნენ და მეორეს მსრიად რუსეთში ლიტერატურას გაცნობილნი ქართველნი.

გონებითა განათარებაში იქმდინ მიადწია, რომ მკვლად ნათარგმნი უანოზ ექიმის წიგნიც არ იკმარეს, გამარე-ნილის შარე უადეს „სამეურნალოც“ იქით გადასდეს და აბთ ნაცვლათ სსკებს მიუქვეს სელი. ამ სსკებში, მარტოთ ბავრტიონთ გვარის შეილება გავდომთარგმნეს სუთი კარბდინი, ყველსე სეურადლებო ბაქარს და დავითის თარგმანი. ამგე სსკში გავდომთარგმნეს ვილო-რიონის „საოჯახო კერძობა“ თარგმნა სვიმონ მკაცრიძის კეუთისის, ვანტანგ მეფის განხილეს, კერცელი

ტომია და შიგ ბერი ქართული ტრამანებიც არის. ამის გარდა სთარგმნეს ვიდეე ანალიზის „ისტორიკური განსვს“ და ამებს გარდა გავდომთარგმნა მასიელ ელ-ვამეი გეომეტრია, ლებორატორია, ტაქტიკა, ანთიმეტრია და მრავალიც სსკანი; სსკე იქმდას მივიდა, რომ თვით ერეკლე მეფესაც გავდომთარგმნა ერთა წიგნი, პოლიცური წესის შესახებ, გერმანიელის სონსიეულდაც. ეს „პოლიცური წესი“ სსკეთშია მყოფი სემინტის დოკტორ რანგეს სემინტურადამ სსკრულეს ენსე გავდომთარგმნა და საქართველოში რანგეს ცხოვრებას დროს ერეკლე მეფეს გავდომთარგმნა სსკრულიც ქართულთ, თვით რანგესს დასმარბათ. ეს წესი დაუბეჭდათ ვადეც 1780 წლებში.

ამ გავრ წიგნებს გარდა სავარანგეთის უმესინსსკეს ვოლტის სსკრებისც გავცნეს; ვერუთ ორ-სამ კაცს სკითხავთ ჰქონია და შეიდეგ რამდენიმე მისი ლექსები სომ უკუგამეს უთარგმნათ. ამის გარდა ფანოზ ბატონაშვილს გავდომთარგმნა უნ-უკ რესოს წორი-ლება, ეს თარგმანი დღეს თივადისშია დაცული. ამის გარდა მიდტონის „დავარული სმოთსე“ც გავდომთარგმნეს. თუ არ გავცნება, მასანდელი თარგმნის პირი უნდა იყოს ის, რომლის შესახებც შარმან „დროება“ სწერდნენ, რომ „წერაკითხვის სამართველოს შემოსწავრო. ამებს გარდა ანც თეატრალური მწერლობა დასტარეს უუურადებოდ. რუსეთში მყოფი ქართველებს სმირად უთარგმნათ სოღმე რუსულიც ქართულს ენსად პიესები.

მასანდელ ნათარგმნი პიესებს 1830 წლებშიდას მოუ-სწვიდა. ს. დოდეკეს, მასანდელი ქართული გავითის რედაქტორს ჰქონია ნათარგმნი პიესები, მკერამ მისი გავსვენას შემდეგ ყველა ისინი დავარგულა. ჩვენსდას მონსწია დავით ავალიშვილის ნათარგმნი პიესებში. ამგე დავითმა სთარგმნა ინგლისის მილორდი.

ამ პიესებს გარდა მასანდელი თეატრალური არსებობას დასამტვიცნებელ სხუთად უფრო სსკა უსამდვილესი ცნობები ყოფილა დაჩნენილი; ეს ცნობები ყოფილა მასანდელი თეატრის ბილეები. რამდენიმე ბილეთი ალექსანდრე ორბელიანს ჰქონია. ბილეთი დაბეჭდილი ყოფილა პეტრე ლურჯ ქალღვრედ და სედ ქართულთ ასე წერებულა: „შაურთ ორი, განაიელ მიაორი,“ ე. ი. ბილეთი ორი შაურიო.

ეს პეტრე ბილეები ალ. ორბელიანის სელში ნ. ბერძენისც უნსსკეს. ამას შესახებ ბერძენიც სწერს ადრინდელ უკუგამის „ნომრებში. სედ მიწვევით აღარ მასსკეს

თუ რომელ წელიწადს. ამ ბილეთების მეორებით ბერძენი-
ვან უმჯობეს ამტკიცებს, რომ საქართველოში თუაჭრ-
დური წარმოდგენები უნდა ყოფილიყო.

სემონსენებულა გაბრიელი რუსეთში მეოთხე სამსკდრო
მოსამსახურე პირი ყოფილა, სარწმუნოებით სომეხი და
გაერთიანებით ქართველი. ეს გაბრიელ ჯდომიანი რუ-
სეთში გაუგზავნათ სსსრკელებით, სამსკდრო სსსრ-
კელებელმა. სწავლის გათავების შემდეგ იქვე სამსკდრო
სამსახურში შესულა და უმსახურა კარგა ხანს; სსსრ-
სურნამ გამოსვლას შემდეგ საქართველოში დაბრუნე-
ბულა და, მკონია, სამუდამოთც თბილისში დაჩვენდა
სსსრკელებელს. ცნობა არის, რომ გაბრიელ მაიორი
თბილისის მდიარა ვაჭრის შვილთაგანი უნდა ყოფი-
ლიყოს. ამ გაბრიელ მაიორს საქართველოში ყოფიან
დროს ქართული წარმოდგენები გაუმართავს. სოგნა
ფაქრობენ რომ წარმოდგენები ძველის აღთქმის სურათე-
ბას უნდა ყოფილიყოს. ამ ჰანს ბერძენიკიც ერწმუ-
ნება. ჩვენ მანც სარწმუნოთ არ ვიცით რა, თუ რა
გვარ პაქსებს ადგენდნენ სოღმე. გაბრიელ მაიორის
წარმოდგენის დრო ასე 1785 წლებში უნდა ყოფილი-
ყოს. შემდეგ დავით ავლაკს დაუწევია წარმოდგენები,
ასე 1793 წლებში. ამასე აღ. ორბელიანიც სწებს თავის
ნაწერებში, რომ თბილისში და თელავში ქართულ წარმო-
დგენებს მართავდნენ. ამასვე უოქავს სოღმე: მე სსა-
რად შემატყვია დედაჩემისას, რომ გაბრიელ მაიორის
თამაშობასე სსკმარისად დიდოდა ხელსიო. თვით ეს
ქალიც დასწრება წარმოდგენებსე. ასევე უამბის სოღმე
ძეგის ირავლას თანამედროვე და მასვე ასტორას
დამწერს ომს მდივანბეს. წარმოდგენები სარდლიანთ
სახელში იმართებოდა, გაბრიელის, ახლანდელის დონ-

დონს სსსტუმროს ბერძნით, რომელ სახელში დღეს
ტრანსტირია მოთავსებული.

გაბრიელ მაიორს დახლოებული ვაქშინი ჰქონდა და-
ვით ბატონ-შვილთას. დავით ბატონაშვილსაც აწერენ
რავც პიქსების დაწერას. იმხანას, რომ დავითს თავის
პაპის ცხოვრებად დაუწერია ერთი რავც ისტორიული
ტრავად. ეს ტრავადი 1840 წელმდის ვახეთში ყოფილა
დაცული და როცა ოთარ ქობულაძის ბიბლიოტეკა დაუ-
წომთ დეკებს, ესეც მასმ დაკარგულა.

ამებს გარდა წარსული საუყუნის დამლევსე ვეფხვის
ტყევისსისი შანსინადამ დრამც შეუდგესათ. გადკეო-
ბას თუ შედგენას მეექვს ირავლის და გიორგი ძეგის
მდივანს გოღერძი ფირავლავს აწერენ. გოღერძი ფი-
რავლავც რუსეთში აღსრდილი იყო, მცოდნე რუსულას
ენას და შემდგინელი სსე და სსა წიქსების. ამასვე
დასწერა ძეგის ირავლას გადცვალების შემდეგ გოღერ-
ძის ომ-ფსე-სეკსურთა „აღსდებ გმართ გმართ, სე ვა-
ნავს.“ ეს ლექსი ამასვე დაბეჭდა 1817 წ., მცგრამ დღეს
ამას სასული ვა აღად აქვს ამ ლექს მსწერილი. ამასვე
გოღერძი ფირავლავს თავის დრამთ გადკეოებული ვეფ-
ხვის ტყევისსისი „რუსულთაც გადკეოარგმნია, როცა ას
რუსეთში იყოფებოდა. საქართველოს რუსეთთან შეკ-
რბას შემდეგ ამ ფირავლავს უცხო ქვეყანათა სსქეების
კოლეგიაში ქართული ენის მოარგმსელთა დანაშენს, ს-
დაც შეიძინა დიდი ორდენები. ჩვენამდის ვერც იმ პა-
სამ მოასწია.

შემდეგ წერალში წარმოგდგენთ იმ პაქსებს და ცნო-
ბებს რავც ი 1880 წელ-და 1850 წელმდის დაუწერათ,
ქ. ი. სურბ ანტონოვის და გიორგი ერასთავის
გამოსენამდე.

Помолись, мой другъ, за меня!

ღღეს დილიათა, ან შუალამით
ქუსლ-მოდრეკილი სატისა წინა
ლოცვულობ სოღმე, შენ მეგობარო
ილოცე ჩემთვის ყოველთვისინა!

ის სიუვარული, ის ტბალი გრმობა,
რავც გამოწნათის შენსა თვალეში,
დაე აღენთოს კვლავც შენს სახესედ
და ლოცვით მღუეღეს უცხო მსარეში.



და სულის შენის მწარე ტირილი
 მაღლა შეცისკენ მსწრაფელ გაფრინდება,
 და მაშინ სწორედ ჩემი სასელიც
 ღვთის მოწყალებით იქ მიიღება.

ბევრი ვაება ცაღმსდა სოფლად,
 სული სწესს ჩემი; მივმართო მე ვის?
 შენ მეცობარო, შენ გესვენები:
 ილოცე ჩემთვის, ილოცე ჩემთვის!...
 ი. რეჟისაჟე.

შინაური ამბები

◆◆თელავიდან გვწერენ: გასულ თიბათის 16, თბილისის ქართული თეატრის აქტიორის დ. აწყურელის თაოსნობით, სომხების გაუქმებულ სკოლის დარბაზში, გამართული ყოფილა ქართული წარმოდგენა, თელავის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. წარმოდგენიათ სამი პიესა: ბაიუქის, ორა მშვენი და ჯდგაკატი მეღაჟე. წარმოდგენაში მონაწილეობა მიეღოთ თვით დ. აწყურელს და სცენის მოყვარეთ: ს. აწყურელს, ი. მეღვინეთ-სუცესიშვილს, ს. მეღვინეთ-სუცესიშვილს, ი. კორცო-სელს და ქალ. სულხანოვისას და ზარაფოვისას. წარმოდგენაზე კარგა ბლომათ დასწრებია ხალხი. ხარჯი წარმოდგენის გამართვაზე დიდი ყოფილა და ამიტომ წმინდა შემოსავალი ძალიან ცოტა დარჩაო.

◆◆ამ დღეებში ჩვენ წავიკითხეთ ერთ ახალგაზდა კაცისაგან დაწერილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა, სახელად შვილი რა-მელა? ამ პიესის ჰუმორი აღებულა ფრანციკულის მოთხრობიდან. პიესა ჩინებულად და კარგის ენით არის დაწერილი.

◆◆კიდევ ორი ახალი პიესა მიემარჯა ქართულს რეპერტუარს. ერთი ვ. უ. გადმოკეთებია რუსულს პიესიდან (в садном положении) და დაურქმევია «ტყვე». მეორე ვ. ა. გადმოკეთებია ვ. სარდუს პიესიდან (Divorçons).

◆◆გაზეთს «კავკასი» ნამდვილად შეუტყვია, რომ თბილისის რუსული თეატრის ანტრეპრენიორს ბაჯ. ფითუაშვილს მომავალს სეკვემბრიდამ ქ. ბაქოს თეატრის ანტრეპრენიორსაც აუღია.

◆◆ზ. ჭიჭინაძისაგან გამოიცა ახალი პიესა გრ. იაკობიძის ოთხ მოქმედებიანი კომედია «ბედნაერეა უხედურთაბისაგან». ამ სამი თვის წინათ გამოიცა ამავე გრ. იაკობიძის კომედია «ეგენა ეგენის ღანსაღლაჟია». ორივე პიესა სეფთად არის გამოცემული და არც ძვირათა ღირს. ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზია. ერთად ორი კომედია: «ეგენი ეგენის ღანსაღლაჟია» და «ბედნაერეა უხედურთაბისაგან» ღირს შვიდი შაური. შემდეგ ნომერში გავაცნობთ მკითხველებს ამ პიესების შინაარსით.

◆◆«მწყემსი» წავიკითხეთ: საწერეთლოში თ. დ. წერეთელს შავის ქვის თხრის დროს ერთ ადგილს უნახავს ხეობი კერპი, ჩამოსხმული ოქროს მზგავსის მეტალისაგან. ჩვენ ვნახეთ ეს კერპები და მართლაც გასაკვირველი არიანო. ჯერ ვერ შეუტყვიათ, თუ რა დროს უნდა ეკუთვნოდეს ამათი გაკეთებაო.

◆◆1883 წელს თბილისის გუბერნიის კრებამ დაადგინა სთხოვის მთავრობას, რათა მან ნება დართოს დაუდგან თბილისში მეგლი განსვენებულს ჩვენ პოეტს გრიგოლ ორბელიანს. ეწლა ეს თხოვნა მთავრობას შეუწინარებია და ნება მიუცია მოგროვდეს კავკასიაში ფული სხენებული საგნისათვის. («დროება»).

◆◆როგორც ისმის გ. წერეთელს განუზრახავს მომავალ წელიწადს გამოსცეს ქართული სურათებიანი ჟურნალი.

† ნ. შ. შიშნიაშვილი (თომაშვილი).

ივნისის 29, ერთი წლის ავადმყოფობის შემდეგ კარდაიცვალა (სიჭლექით) ქართული თეატრის არტისტი ნიკოლოზ მკაჭრის ძე შიშნიაშვილი, შობით 30 წლის. განსვენებული მთელი ერთი წლის განმავლობაში თბილისის ქალაქის სამკურნალოში იწვა საწამლებლათ, მაგრამ ექიმების მეცადინეობამ მანც ვერა უშველეს რა და უღმობელმა ბედმა საუკუნოდ მოაშორა ეს ზატოხსნებით სავსე კაცი თავის სწორ-ამსხანაგებს.

ნ. შიშნიაშვილმა თბილისის სასულიერო სემინარიაში გაათავა სწავლა. ჯერ კიდევ მოსწავლე იყო, როცა იგი მსურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულ წარმოდგენებში (1873—1878 წ.). როცა მუდმივი ქართული თეატრი დაარსდა, 1879 წ., ის ჩაეწერა ქართული არტისტების რიცხვში და მას აქეთ არ მოშორებია ქართულ სცენას. როგორც არტისტი ის მეტად კეთილსინდისიანათ ასრულებდა თავის როლებს, როგორც კაცი ზატოხსნებით სავსე და ეველანსაგან საუვარელი იყო. ნ. შიშნიაშვილი თამაშობდა თომაშვილის გვარით.

21 ივნისს თბილისის სიონის საკათედრო სობოროში გადასდეს მას წიჭვა და ზანაშვიდი, შემდეგ მისვენეს ავლაბარში საიდანაც უნდა წაესვენებინათ დასასაფლავებლად თავის სოფელში, სიღნაღის მხარეში. როგორც განსვენებასე აგრეთვე საუდარშიაც მის ამსხანაგებთაგანი თითქმის არაფინ დასწრებია. ეს კარეპოება მიეწერება მსოლოდ იმას, რომ საფსულის გამო ეველა ჩვენი აქტიორები გაფანტულები არიან სსვა-და-სსვა ადგილებში.

ქართული თეატრის არტისტები გულითადი მწუსარებას განუცხადებენ ნ. შიშნიაშვილის მშობლებს და ნათესაებს.

ნ. შიშნიაშვილი
" ქართული
1885. IV 131
ი. შ.

ზოთა რუსთაველი.

1172-1216

(სურათზე).

ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი და მკვლევარების მამათ-მთავარი შოთა რუსთაველი დაიბადა ახალციხის დაბა რუსთაველაში. დაბადების დროს ზედ მიწვენიით 1172 წელს წყერენ. ეს რიცხვი მიღებულია ქვისთროგორც მკვლევრებს და იმათ შორის ვასტანგ მეთევს, ჯეროვე ასევე დროის მეისტორიოვც ბრძანეს, ბაქრაძეს, იოსელიანს, ჩუბინოვს და სხვებს.

შოთა ჯიბარდა საქართველოში, წერა-კითხვა შეუსწავლია ტბეთის მონასტერში და შემდეგ კასეთში გადმოუყვანიათ, გრემის სსწავლებელში. აქ დარჩენილა რამდენიმე ხანს და ბოლოს ათინაში წასულა, ათინაში დიდი ხანი დარჩენილა და შემდეგ სწავლით სესე და-

ბრუნებულა საქართველოში. საქართველოში ეოფენას დროს იგი სმეიფო სმისსურმა შესულა და რამდენიმე ხანს თამარ მეფის მეჭურჭლეთ-ურეუკსთაც ეოფიდა; რამდენიმე ხნის შემდეგ რაღაც მსწავლების გამო ბერეთ შემდგან და წასულა იერუსალიმის ქართველების ვაბრის მონასტერში, სადაც დამკვადრებულა და ბოლოს იქვე გარდაიცვალა კიდეც. გარდაცვალების რიცხვს 1216 წელს მასწერენ.

შოთა რუსთაველმა დასწერა ბრწყინვალე წიგნი „გეგვასა-ტეოანსანი“, რომლითაც დადა ენა ქართული. ეს მკითრვისი ქმნილება ზირველად ვასტანგ მეფემ დაბეჭდა 1709 წ. ქ. თბილისში.

ზ ი ძ ტ რ ზ ი უ ზ მ.

(სურათზე).

10 (22) მასს მთელს სიფრანგეთს თვე ზარი დაეცა გქტორ ჭიუგოს სიკვდილით. იგი როგორც სმდევილი სმშობლას მოყვარე მეტის-მეტად მკითრვისი ეიფო მთელის სიფრანგეთისათვის და როგორც უდიდესი ზოეტი მას უჭარავს მალე იდგოლი მთელს განათლებულ ქვეყნის ლიტერატურაში.

გრავი გიქტორ ჭიუგო დაიბადა 14 (26) თებერვალს 1802 წ. იგი სწავლობდა ზოლიტესნიეგურ შეოლაში; ამ შეოლაში შესვლისთანავე მან გამოიხინა გასაცარი ზოეტიურა ნიჭი.

ზირველმა მისმა თსსულებებმა დაიმსსურა ფლორანსის ავადეიის სსსუქარი ქ. ტულუსში. ამის შემდეგ გამოიცა ზირველი ტომი ლელებას და ბლადების და ამ შემთსვევამ დაემეობრა გ. ჭიუგო გამოჩენილ ზირბთან, როგორც მაგალითად შატობრიანთან და სსვ.

გიქტორ ჭიუგო, როგორც სსსს მას რომანება-დამ: „ეს ისლანდიელია და „ბიუე უარული“, იფო წარმოამდგენელი რომანტიზმისა. ეს მამართულება უფრო ცხადად განსსლვობა მს ტრავკედიის „კრომეკელ“-ის წინსიიტუებაში. 1828 წ. გამოიცა მისი ლექსთა კრება „Les orientales“, ჩქარა ამის შემდეგ გამოიცა მისივე „უკანასკნელი დღე სსსიკვდილოთ გამსადებულისა“, ამ მოთსრობაში გიქტორ ჭიუგო თავის უმსყოფილებს ცნსლებს სიკვდალით დასესსე.

ღუა ფლანსის სიფრანგეთის ტანტრე ასეღის შემდეგ გამოიცა რამდენიმე თსსულებანი გ. ჭიუგოსი, რომლითაც მისი დადება უფრო დამკვიდრდა; იგი მალე-ბულ ექმნა ავადეიასში (1811 წ.) და ბოლოს წარსსე-ბული ადგილიც მაიღო, 1845 წ. ის დანიშნეს ზერთ. ა. ეს თსსულებანი: „ზირიუას ღეთის-მშობლის სობორა“, „მეივე დროს ატარებს“, ღექსთა კრება: „Les feuilles d'automne“, „Les chontes de crepuscule“, „Les vaix interieures, ლეგერტა ბორვია“ მარია ტრადორია, „ანკელო“, „რეა-ბლასია“ და სსვ.

1848 წ. ზოლიტეგურ გარემოებების გამო გ. ჭიუგო მოაშორეს სიფრანგეთს. სმსლვარს გარეთ ის წინსლუღდა ასევე იმპერიას და გამოცა თავას თსსულებს „Napoleon le Petit“, ეს თსსულება შესანიშნავია თავისა სელფენური ფორმებით და მსწვილ-სიტყვაობით. მს მოჭვენენ: „Contemplation“, „La legende des siecles“ და რომანი „საბრ-ლონი“ (Les miserables). ცოტა უფრო გეან გამოიცა „წიღესს მეშასნა“ და გვრი რომელიც იცინისა. ამ თსსულებებმ მეტად მღიერა შთბეჭდილება მოასდანეს.

ზ.ზოლეონ მესამას დამსობის შემდეგ გიქტორ ჭიუგო ზირიუავე დაბრუნდა, კადევ ლიტერატურას მჭკიდა ხელი და მსს აქეთ აღარ მოშორებ ა ეს გენიოსი თავის სესვარელ სიფრანგეთს.

რედაქტორი ჭ გამოცემელი გ. აბაშიძე.

საუფელ-კვირბო ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი.

„თეატრი“

გამოცემა 1885 წ. ენკენსთვადამ ქ. თბლისში. გარდა ზარ-და-ზირი თუცის დანიშნულებისა, ქ. თ. ადგილობრივი თუტრებს. (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით აღწერისა. „თეატრი“, თუცის ადგილებს ე-დეე ჩვენ ლიტერატურასაც. დრო გამოშვებით „თეატრი“-ში მკითხველი ნახავს მოთხრობებს, ლექსებს და ბეკებს სსვა-და-სსვა, ჩვენი მკითხველთათვის, საუფრადებო ამბებს. საზოგადოთ ზრგრმა „თეატრისა“ შემდეგია:

- ა. მოწინავე წერილები.
- ბ. ზიქებისა და წარმოდგენების რეცენზიები.
- გ. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.
- დ. კორესპონდენციები და ყოველგვარი ცნობები გარეშე ქალაქებიდან.
- ე. გამომხილ ზინთა ბიოგრაფიული წერილები მათის სურათებით.
- ვ. თეატრები: ქართული, რუსული, სომხური და სსვ.
- ზ. ფელტონი: თეატრის შესახებ, სცენები, დრამატული თხზულებანი, ლექსები, სამე-რალი კუნძლები, რამანები, მოთხრობანი, ამბები, მოგონებანი და სსვ.
- წ. ანეკდოტები, გამოცანები, რეჟისები, შიარები და სსვ.
- თ. ყოველ-გვარი ცნობანი და განცხადებანი.

ჩვენ ლიტერატურაში გამომხილ მოღვაწეთ „თეატრისა“-ს აღუთქვეს თავიანთი მო-ნაწილობა.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირამდით. ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქალაქის აგრეთვე გარეშე სელის მომწერთათვის ღირს ხუთი (5) მანეთი, ნასეკარის წლით—სამი (3) მანეთი. ცალკე ნომერი ღირს სამი შაშრი.

შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოკანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათხავე 3 მანეთი, მისში 1 მან. და მარია-მობის თეშიაც 1 მან. სსვა ვადით ხელის მოწერა არ მიილება.

ხელის მოწერა მიიღება: თბლისში თეატრისა-ს რედაქციაში და გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მღაზიაში. ქუთაისში—მმ. ჭალაქების წიგნის მღაზიაში. გარეშე მდნორებთათვის აღრესი: Тифлисъ, редакция „Театръ“.

მსკენისთემდინ, როგორც ქალაქის აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის აღრესი: Тифлисъ. Книж-ный Магазинъ Григорія Чарквіани. წერილებიც ამ აღრესითვე უნდა გამოიგზავნოს.

ყრმათა სკაიოსკვი სეფოკელითვე სურათებანი ყუნალი

„ნობათი“

პედაგოგიური ნაწილის დამატებით — გზობელთათვის და აღზარდელთათვის.

მიელი წლით ყუნალი „ნობათი“ ღარს ოთხი მ.ნეთი. სკლის მოწერა მიიღება თბილასში „ნობათი“-ს რედაქციაში. სკლის მომწერელს გავსჯენება ეველს გამოსული წიგნები.

შეიძლება ავტოკვი 1854 წლას „ნობათი“ ს დაბრებად, — ფასი ოთხი მანეთი; მშენიერის ბნგლისურის ედითა ოქროს ვანაყით გავსჯენით ეჭვსა მანეთი.

გ. ჩარკვიანი

ქართული წიგნის მღაზიაში ის-
ვიღება შემდეგი წიგნები:

- ღიღი-მოურავიანი, ტრ. ფურც. — 1 —
- საპი კიკელია, ა. ცაგარდისა. — „ — 60
- აპაზანი, ტრ. ა. ფურცელასა. — „ — 40
- თამ. ბატონიშ. დრამ. კ. მეს. — „ — 30
- მეფ. ირაკლ. პირ. დრო. ტრ. ობს. „ — 30
- ქორქ. დანდენი, კომ. მოლიურ. — „ — 40
- ფერი-ფერს მაღლი ღმერთს, კომ. „ — 50
- მეგანი მეგანიჩ ზანზალ. კომ. — „ — 20
- ბეღნიერება უპედურამ. კომ. — „ — 20
- ცოლი თუ გინდ. მს არის. ვოდ. — „ — 10
- მეგანიერი ელენა, ოპერეტ. — „ — 10
- კატა აწონა, კომედ. — „ — 15
- პარკიკახერი, ვოდვილი. — „ — 15
- მოლი და მსდეთ ქალსა, კომედ. „ — 20
- კაკიშონი, ფრსა 2 მოქმედ. — „ — 25
- ცოლერი დამპარგეთ. კომ. 2 მოქ. „ — 10
- ჰამროსტატი, კომ. 4 მოქმედ. — „ — 40

სამკოალმ ხმები, სოტ. გადდ. 1 —

სოვი შემდეგ ნომერში.

ღანიგვდა ან. ჰათალ. ღრამატიკა.

სტამბა

გრიგოლ ჩარკვიანისა.

მიიღება გოველევარი სსსტამბო
საქმები.

დაიბეჭდა და მსლე დაზიგდება მღაზიებში გა-
სასყიდათ

ქ ა რ თ უ ლ ი

ქრისტოფანია

შემდროს ვლასებისთვის. შედ. მიხეილ ნასიძისგან.

ფასი 70 კპ.

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასასყიდათ

მოთა რუსთაგელისა

ვიქტორ ჰიუგოს სურათები.